საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 171

06 11 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ოქტომბრის N03/3954 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის სხდომის N16 ოქმის მე-11 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ოქტომბრის N03/3954 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს საგზაო ნიშნების განთავსება და სარკინიგზო გადასასვლელების მისასვლელი გრუნტის შეკეთება შემდეგ ადგილებზე:

- სოფელი სადახლო კმ. 2569 პკ 1 - დასაყენებელია უშლაგბაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი;
- სოფელი სამება კმ. 2563 პკ 4 და კმ.2565 პკ 4 - დასაყენებელია უშლაგბაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი და სარკინიგზო გადასასვლელთან მიახლოების ნიშანი, ასევე შესაკეთებელია მისასვლელი გრუნტის საავტომობილო გზა;
- სოფელ ზემო სარალი კმ.2560 პკ 2 - გრუნტის ავტოგზა ასაწევია ორივე მხარეს და შესაკეთებელია, ასევე დასაყენებელია უშლაგბაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი;
- სოფელი სარალი კმ.2557 პკ.6 - დასაყენებელია უშლაგბაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი და სარკინიგზო გადასასვლელთან მიახლოების ნიშანი;

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს 2016 წლის ბიუჯეტში ზემოაღნიშნულ სარკინიგზო გადასასვლელებზე გამაფრთხილებელი სიმაფორების (მზის ენერგიაზე მომუშავე) დაყენება და მოვლა-პატრონობისათვის საჭირო თანხების გამოყოფა.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI